აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 2

29 დეკემბერი 2014 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად:

„უსკოს ბლანკი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: ბლანკი არის მართკუთხა ფორმის ა4 (210X297მმ) ფორმატის, თაბახის ფურცელი. ფურცელის ზედა მარცხენა ნაწილში გამოსახულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი, რომლის მარცხენა მხარეს (დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც დგას ამ გერბის პირდაპირ) გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის მარჯვნივ მითითებულია გამომცემი ორგანოს დასახელება სახელმწიფო და ინგლისურ ენაზე, გერბისა და გამომცემი ორგანოს დასახელების ქვემოთ გასმულია ლურჯი ფერის 3 მმ სიმაღლის ხაზი 12 სმ სიგრძის, ხაზის ქვემოთ მითითებულია ინდექსისა და რიგითობის ნომერი, გამოცემის რიცხვი, თვე და წელი. ფურცელის ბოლოში, ბოლოდან 35 მმ ზევით გასმულია 17 სმ სიგრძის 3 მმ სიმაღლის ლურჯი ფერის ხაზი, ხაზის ქვემოთ მითითებულია უსკოს მისამართი, ვებ-მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, როგორც სახელმწიფო ასევე ინგლისურ ენაზე. ბლანკს აქვს შემდეგი მინდვრის ზომები: ზედა - 20 მმ, მარჯვენა - 10 მმ, მარცხენა და ქვედა - 20 მმ. ფურცლის უკანა მხარეს ბოლო მარჯვენა კუთხეში მითითებულია ფურცელის (ბლანკის) რიგითი ნომერი“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**